№ 10. იანვრის 13, კვირა. 1866—1885 იანვრის 13, კვირა. № 10

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ., სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

**წმ. ნინოს დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, იანვრის 16-ს.**

## ქართული თეატრი

დანიშნულის პიესის სამაგიეროდ

დღეს, იანვრის 13-ს.

ბ. კორინთლის ბენეფისში

წარმოდგენილი იქნება:

I

**მონასტრის ზღუდეთა-შორის**

ანუ

**და ტერეზა**

დრამა 5 მოქმედებად, თხზ. ლუიჯი კამალეტისა.

II

I სურათი მე-V მოქმედებისა შილერის დრამიდამ:

**ყაჩაღები**

დასაწყისი 8 საათზედ.

## საზაფხულო თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 17-ს

დანიშნულია ბენეფისი

**ბ-ნი კ. ყიფიანისა**

წარმოდგენილი იქნება პირველად

**სიყვარული ახალგაზდა ქალისა**

დრამა 3-ს მოქმ. კ. მ. კოლუბანსკისა.

მესამე მოქმედება

**მ ე ფ ე ლ ი რ ი-სა.**

წამების ოთახი დრამიდამ

**სამშობლო.**

ბილეთები ისყიდება სათავად-აზნაურო „სომბრანიეში“ და არწრუნისეულ თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზე.

## საზაფხულო თეატრი.

ოთხშაბათს 16 იანვარს

ბენეფისი

ვ. ს. ალექსეევი-მესხიევისა

ქართული დრამატიული არტისტებისაგან

წარმოდგენილი იქმნება

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

**ანუკა ბატონის-შვილი**

დრამა 3 მოქმედ. რჩეულოვის მოთხრობიდამ გადმოკეთებული დ. მესხისაგან.

II

**რ ა ი ნ დ ი**

უშიშარი და გულ-მართალი

ოპერეტკა 2 მოქ. მუზიკა ლეკოკისა

III

**შ ე შ ლ ი ლ ი**

დრამატიული სურათი კუპლეტებით—აასრულებს ბატ. ალექსეევი-მესხიევი ორკესტრის აკომპანემენტით; დეკორაცია წარმოადგენს ტყეს და წყალს ხიდით ოპერიდამ „სონამბულა“.

მოთამაშენი: მ. საფაროვი-აბაშიძისა, ბანზიელისა; ბ.ბ. ვ. ალექსეევი-მესხიევი, ვ. აბაშიძე, ა. მოხევე, დ. რიონელი კ. მაქსიმიძე და სხვ.

ბილეთები ისყიდება საზაფხულო თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## შინაური ქრონიკა

═ ჩვენ მივიღეთ რამდენიმე სახელ-რის წერილები იმერეთის ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებისაგან: შემოგვჩივიან, რომ გლეხებს ისედაც ბევრი გადასახადი და ბეგარა გვმართებს და ეხლა კი რაღაცა უცნაური არა-ქართულის გაზეთის გამოწერა დაგვადვეს ვალადო, და გვსურს თუ არა გვსურს—არავინ კითხულობს, ხვედრ ფულს, ხან მეტსაც, გვაცლიან ჯიბიდამაო!—„დაგვიბეჭდეთ ეს ამბავიო“—იხვეწებიან ავტორნი-გლეხნი,—იქნება ქუთაისის გუბერნატორმა ღნ. სმეკალოვმა მიაქციოს მას ყურადღება, გამოაკვლევინოს თავის მოხელეებს საქმის გარემოება და ბრძანება გასცეს, რომ გაგვანთავისუფლონ მისდა უცნობლად (?!) სოფლის საზოგადოებებზე გაწერილს „გაზეთის ფულისაგან“.

═ დ. ჩხარიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ: „თუმცა ჩვენი დაბა ერთს საუკეთესო დაბად ითვლება იმერეთში, არის განცხოველებული სავაჭრო პუნქტი და კარგადაც დასახლებულია, მაგრამ ქუჩების სისუფთავესა, სივიწროვეს და ფანრების სრულიად უქონლობას არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. თხელი ტალახის ნაკადულები როგორც ბუნებითს კალაპოტში, ისე მდინარეობენ ქუჩებში და გასვრილი ლორები პირდაპირ ფეხებში ეჩხირებიან გამვლელ-გამომვლელსაო“. იქვე ყოფილა წყარო ჩინებულის თლილის ქვით აშენებული. ქვებზე ყოფილა ისტორიული ზედ-წარწერა, რომლისაგან დღეს მხოლოდ ეს ნაკუწ-ნაკუწად დარჩენილი ადგილი ხვდება კაცის თვალს: „არსა“ ქორონიკონსა ინდიკ..... (ამის შემდეგ ქვა ჩამოხეთქილი ყოფილა.) ...... პატარა მეფე..... იმერეთის, ოდეს სუფევდა დაბა ჩხარში“...

იმავ დაბის ეკლესიაში, ავტორის სიტყვით, არის მდიდარი ძველი, ხელთნაწერი ბიბლიოთეკა.

═ აფხაზეთში გაჩენილან აუარებელი ველური ღორები. განსაკუთრებით ბევრი არისო მაჟარა შერვაშიძის და თ. ცამბაიას მამულებში, ბაგრისა და პიწუნდის მიდამოს. ადგილობრივს მცხოვრებს, მაჰმადიან აფხაზს თუ შემთხვევით შეხვდება მოკლული ამ ნადირისაო, გვწერენ აფხაზეთიდამ, თორემ განსაკუთრებით ამ მხეცისათვის ნადირობას რად გამართავს—რაში უნდა მაჰმადიანს ღორის ხორციო. ამ რიგად ყოველ წლივს საოცრად შენდება ეს ნადირი ჩვენ მხარეში და ვაი, თუ ერთ მშვენიერს დღეს დაგვერიოს მცხოვრებლებს და „დაგვქილოსო“.

═ კარგა ხანია ცნობილია აფხა-

---

## «დროების» ფელეტონი, იანვ. 13-ს

### საკვირაო ფელეტონი.

ძველი და ახალი ლიტერატორები.—სულის სიმაღლე ძველთა და დამცირება ახალთა.—პროექტი ქართულის ენის პროგრამის შეცვლისა.—წყალობამ ამ პროექტის შემადგენელისათვის.—ერთგან დაწუნებული და მეორედგან მიღებული სახელმძღვანელო.—ახალს „კავკაზს“ რადა წყალობა მოელის?—ნიმუში „მწყემსის“ ლიტერატორობისა.—ქალაქის გამგეობის ახალი სიუხვე.

რაც რამ ძველია,—ყოველისფერი ცუდი არ არის; რაც რამ ახალი—ყოველისფერს კარგს ვერ დავუძახებთ;—ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია ყველგან და ყველასაგან აღიარებულია და „დღე-ყოველ, ჟამსა-ყოველსა“ ამის დამამტკიცებელი საბუთების მონახვაც კაცს არ გაუძნელდება. რომ ახალი ტიკი ღვინოს ახდენს და ახალი გამოუყენებელი ლიტრა წყალს შმორის გემოს აძლევს, ეს ყველამ იცის, მაგრამ ის კი ბევრს არ ეგონდინება, რომ ჩვენი ახალი მოზარდი თაობა ბევრად ნაკლებ მისდევს იმ საგანს, რომელზედაც უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენის ქვეყნის წინ-წაწევა და სულით ამაღლება. ჩვენი უნივერსიტეტები და სხვა მრავალი სასწავლებლები ყოველ წელს რამდენსამე ახალგაზდას ისტუმრებენ ჩვენს ქვეყანაში სამოქმედოდ და ესენიც, მოსვლისათანავე, ცხოვრების ჩლუის ზვირთებს თავისდა უნებურად უსიტყვოდ ეძლევიან: ერთი მასწავლებლობს, მეორე მსაჯულობს, მესამე ადმინისტრატორობს და თითქმის ყოველს მათგანს, თავის თბილ ბუდეში მოქცეულს, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ჩალის ფასადაც აღარ მიაჩნია. უწინ ასე არ იყო: უწინ ჩვენს ლიტერატურას მხოლოდ ისინი უწყობდენ ხელს, რომელნიც რაიმე სამსახურში იყვნენ და „მიწერილობებსა და მოხსენებებს“ შორის არ ივიწყებდენ, რომ ამ საჭირო და პატივცემულ ქაღალდებ გარდა, არიან ისეთი ქაღალდებიც, რომელნიც ქვეყნის განძს შეადგენენ და მის ცხოვრებას რაიმე ფერსა სდებენ. უწინ მაზრის უფროსის თანაშემწე ნ. ბარათაშვილი თავის პოეტურ ჩანგს აჟღერებდა და პრიკაზის სეკრეტარი ლ. არდაზიანი „მეჯღანუაშვილსა“ სწერდა. უწინ მთელს ჩვენს ლიტერატურას სული ამ გვარ პირთაგან ედგა და მათივვე წყალობით დღევანდელ განვითარებამდე მიაღწია. ეხლა სულ სხვაა: ეხლანდელს ჩვენს მწიგნობრობას ბევრად უფრო მეტი მომხრე და მკითხველი ჰყავს, მისი წრე ბევრად უფრო ფართოა და ასპარეზი ვრცელი, მაგრამ ამ წრეს სრულიად სხვა პირნი შეადგენენ; წრეს შეადგენს თვით ხალხი, რომელიც მოწიწებით ისმენს ყოველს ბეჭდვითს სიტყვას და მოწიწებითვე იმარხავს გულში; ჩვენი განათლებული ახალგაზდობა კი ყურ-მოყრუებულია და არა ზრუნავს არც იმისთვის რომ პატარა გონების საზრდო მიაწოდოს ამ სწავლა-მოწყურებულს ხალხს, ან მისი ავ-კარგიანობა გაიცნოს.

ჩვენ იმას არა ვთხოულობთ და სასაცილოც იქნება, რომ მოვითხოვოთ, რომ ყოველი მაზრის უფროსი ან მისი თანაშემწე „ბარათაშვილობდეს“ ან ყოველი სტოლ-ნაჩალნიკი «არდაზიანობდეს»; მაგრამ ამის მოთხოვნა კი შეგვიძლიან, რომ ქართველ ექიმს, იურისტს, ან მათემატიკოსს რომელსაც უნივერსიტეტი დაუსრულებია, განგებ თვალები არ ასტკივდებოდეს ხოლმე, როდესაც ქართულს ნაწერს, ან ნაბეჭდს დაინახავს.

***

მაგრამ დავანებოთ თავი ამ იერემიის გოდებას და დავუბრუნდეთ თუნდ იმ ახალ ახალ-გაზდობას, რომელიც პირველის შეხედვით, თითქო კარგს გზას დასდგომია; მაგრამ, ვაი, თუ აქაც იერემიის გოდება დაგვჭირდეს. აი, ორიოდ-სამი მაგალითი იმისა, რასაც რუსთველის მახვილის ენით „ქვეით კოცნა და მზისა წვერვა“ ჰქვიან. ერთს ახალ ქართველ მოღვაწეს, რომელსაც ერთდროს ჩინებული ლიტერატორობის ხმა დაუყარეს, მიუღია ქართულის ენის მასწავლებლობის ადგილი ერთერთს ჩვენს სასწავლებელთაგანში. ამბობენ ამ ლიტერატორს უწინ თავის დღეში ქართული არ უსწავლებია და თუ მიიღო ეს ადგილი, მიიღო იმიტომ, რომ პროგრამის შეცვლა მოიწადინაო. ჩვენ არ ვიცით, რა ნება ჰქონდა პროგრამის შეცვლისა იმისთანა პირს, რომელსაც თავის დღეში ქართული არ უსწავლებია, არც ის ვიცით შეამოკლა ეს პროგრამა, თუ გაავრცელა, მაგრამ ეს კი უფრო დასაჯერებელია, რომ ხსენებული პროგრამა შემოკლებულ და მოწონებულ იქმნა, რადგან ეს პირი თუ არ შემოკლებით, სხვაფრივ ვერ დაიმსახურებდა ესეთს უხვს წყალობას.

მეორე მაგალითი: ერთმა ჩვენმა მოღვაწეთაგანმავე შეადგინა სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენმა ლი-

ზეთი და განსაკუთრებით სოხუმი, როგორც ზღვის ნაპირა ადგილი, ძლიერ მარგებელ ქვეყანად ჭლექიანებისათვის... ჩვენის კორესპონდენტის სიტყვით, ამ ზამთრით ბევრნი ჩასულან გულით ავადმყოფნი სოხუმს და სულ ცოტა ხანში ბედნიერს ბუნებას და ჰავას ამ ქვეყნისას დიდი შეღავათი მიუცია მათთვის. ამ ბუნების წყალობასთან რომ სხვა რამეც იყოს მომართული ავადმყოფებისათვის, მაგალითად: საბანებელნი და მოთავსებული სადგომები, მაშინ უეჭველია უფრო წარმატებით მიეცემათ შველა სნეულებსაო.

— გამოვიდა მეთერთმეტე ნომერი ,,კავკასიის სამეურნეო საზოგადოების'' წარსული წლის ,,მოხსენებისა'', რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი: რამდენიმე სიტყვა გენაგერჩაქზე (Ricinus communis dinn) და მისს გაშენებაზე; სოხუმში ჩაის ბუჩქის გაშენებაზე და კავკასიის ჩაის გამოკვლევა ბ. სტრუევესი.

კავკასიის ჩაი, ბ. გამომკვლეველის აზრით, თუმცა არავითარს მავნებელს ნაწილს არ შეიცავს, არის ჩინურს ჩაიზე უფრო მუქი ფერისა და ფრიად სუნნელოვანი, მაგრამ მაინც ცილებას ვერ გაუწევს ჩინურს, რადგანაც აკლია ერთგვარი ალკალოიდი—ტეინი და ეთირის ზეთი, რომლის წყალობითაც ჩინურს ჩაის სასარგებლო ზედ-მოქმედებას აწერენ კაცის აგებულებაზე.

— ბორიდამ გვწერენ: ,,იანვრის შვიდს, თერთმეტი საათის ნახევარზედ მოეკიდა ცეცხლი ბორის სასულიერო სკოლის ფლიგელს, რომელშიაც სკოლის ბიბლიოთეკა იყო შენახული. წაკიდების მიზეზი ძველი რუსული ფეჩი იყო, რომელსაც ცეცხლი გაჰპარვოდა მილიდამ და ჭერს მოჰკიდებოდა მსახურის შეუნიშნავად.

,,შეიქმნა ეკლესიის ზარების რეკა და ხალხმაც მოჰკრა ყური, სკოლა იწვისო, მაგრამ არ კი იცოდა, რომელი სკოლა იწოდა და სად მიშველებოდა: ზოგი ქალების სკოლისკენ გარბოდა, ზოგი სამოქალაქოსკენ. ბოლოს მიაგნეს ზემოხსენებულს სკოლას და დაიწყეს ბიბლიოთეკიდამ წიგნების გარედ გამოყრა. აუარებელი წიგნები წახდა ფეხ-ქვეშ და ზოგიც დაიკარგა. რაც გადარჩა, იმათშიაც ბევრი აღარ ვარგა, რადგან ზოგს თავი აკლია, ზოგს ბოლო. დახეული და დაკარგული წიგნების რიცხვი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

,,როდესაც ცეცხლი კარგად გაძლიერდა, ამ დროს მოვიდა ერთი როტა ჯარი და როტის კამანდირის ბძანებით წრე შეჰკრა. ამ დროსვე მოაშველეს ქალაქის გამგეობიდამ საქრობი მაშინა, რომლითაც ცეცხლი მალე გააქრეს. ბორის მოქალაქემ ალალო ოთუთაშვილმა აღუთქვა სკოლას შკაფების გახლება. კარგი იქნებოდა, რომ იმ პირთ, რომელთაც წიგნები გაიტაც-გამოიტაცეს სკოლასვე დაუბრუნონ და მეწვრილმანეს არ მიჰყიდონ წონით უმარილის გასახვევად''.

— ,,კავკაზის'' უკანასკნელს ნომერში ვკითხულობთ: იანვრის ათს განოვის ქუჩაზე, ოანისიანის სახლში მოხდა შემდეგი ტრაგიკული შემთხვევა. მოხსენებულის სახლის მეორე სართულში დგას თბილისელი ვაჭარი მილქიქოვი, თამამშევის ქარვასლაში მაუდის მაღაზიის მქონე, რომლის სადგომიდამ ღამის ცხრა საათზე მოისმა საშინელი შემზარავი ყვირილი. როცა ამ ყვირილზე შეიკრიბენ სხვა მდგმურები, დაინახეს, რომ მილქიქოვი სცურავს თავისავე სისხლში, მოჭრილი აქვს მარცხენა ხელის მაჯა და მძიმედ დაჭრილია თავში. მილქიქოვის გვერდით იყო მისი მოსამსახურე, ახალ-გაზდა იმერელი ბიჭი, რომელიც ერთობ აღელვებულ მდგომარეობაში კიდევ უწყალოდ ჭრიდა და კაფავდა მისს აღას მილქიქოვს. ხალხმა, როგორც იქნა, მოაშორა იმერელი ბიჭი დაჭრილს, და თვით მილქიქოვი კი შეიტანეს მეორე ოთახში და მოიწვიეს ექიმი. იმერელი ბიჭი არც კი ცდილა გაქცევას და სწუხდაო — მოგვითხრობს ,,კავკაზი'' — რომ მოკვლა ვერ მოასწრო.

— ,,ნოვოე ობოზრენიეს'' გაუგონია, რომ ქ. შუშაში სდგება საზოგადოება ადგილობრივის ინტელიგენციის შორის, რომელსაც საგნად ექნება ყოველ-წლიურად ათას-ათასი მანათით შეწევნა თბილისურ სომხურის გაზეთის ,,მშაკის'' რედაქციას.

— იმდენად გახშირებულა ბაქოში საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა და პირადი უშიშროების წინააღმდეგნი შემთხვევანი, რომ ადგილობრივის საქალაქო რჩევის წევრებს შეუდგენიათ კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს და მიიღოს მოხსენებული სენის საწინააღმდეგოდ რაიმე ღონის-ძიება (,,კასპი'').

— ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი წერილი, რომელსაც არ ვიცით რამდენად დავენდოთ: ,,უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის პატივცემული გაზეთის საშვალებით უჩემო მადლობა გადაუხადო ხრეითის (შორაპნის მაზრა) ეკლესიის მღვდელს მიხეილ ჯაფარიძეს ჩემის სრულიად განთავისუფლებისათვის საშინელის სნეულებისაგან, ავი ზნისაგან, რომელიც მტანჯავდა ორის წლის განმავლობაში.

დავით (ჯაფარიძის ასული) ლოლაძისა.

— ბ. გოგებაშვილის წერილის პასუხად ვაცნობებთ მკითხველებს, რომ ბ. გ. წერეთელი ამ ჟამად თბილისშია და მედიატორები ამ დღეებში შეუდგებიან საქმის გარჩევას.

## წერილები რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

ჩვენი უბედური მდგომარეობა ბევრჯელ იყო მოხსენებული თქვენს პატივცემულ გაზეთში სხვა-და-სხვა წლებში, მაგრამ უყურადღებოდ რჩებოდა ყოველთვის.

ამას წინედ ,,მწყემსის'' 21 ნომერში იყო წერილი რომელიც აქებდა მეტეხის ციხის მღვდლის მამა ლომაურის მოქმედებას, რომლის თაოსნობითაც დაარსდა იქ წიგნთ-საცავი და წერა-კითხვის სწავლა, და რა სარგებლობა მოუტანა ტუსაღებს. აგრეთვე აწერილი იყო ქუთაისის ტუსაღების უბედური მდგომარეობა უწიგნობით, და საყვედურს აცხადებდა სატუსაღოს მღვდელზე ოქროპირ კაჭუხიძეზედ: ვითომ გულ-გრილად უყურებდეს ამ საქმეს და არ ცდილობდეს წიგნთ-საცავის და წერა-კითხვის სწავლის დაარსებას სატუსაღოში.

ჩვენ რამდენადაც ვიცით, მამა ლომაურს ბევრი შემწე აღმოუჩნდა ამ საქმეში, როგორც თბილისის საზოგადოებამ, რომელმაც შემოსწირა მრავალი წიგნები სხვა-და-სხვა ენებ-

---

ტერატურამ ერთხმად დაიწუნა და დაიწუნა არა უსაბუთოდ, არამედ სრულის საბუთებისა და ნაკლულევანების ჩვენებით. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ შემადგენელი ამ სახელმძღვანელოსი იმდენს სიმამაცეს გამოიჩენდა, რომ ამის შემდეგ უარ-ჰყოფდა თავის ნაყოფს და აუტოდაფეს გაუმართავდა; მაგრამ სამაგიეროდ მან იგი წარადგინა, სადაცა ჯერ არს და ეხლა თამამად უცხადებს საზოგადოებას, რომ ჩემი სახელმძღვანელო მოწონებულ და მიღებულ იქმნა და საკვლავიოდ თავისუფლად შეგიძლიანთ იკითხოთ იგი და ჭკუა მოინაღვაწოთო.

***

არ ვიცით ახალს ,,კავკაზს'' რადა ,,მოწონება და მიღება'' მოელის რომ ასე მედგრად გამოილაშქრა ქუთაისში სემინარიის დაარსების წინააღმდეგ. ერთად-ერთი საბუთი, რომელიც ოფიციოზურს გაზეთს საპატიოდ მიაჩნია არის ის, რომ ქუთაისი და ტფილისი რკინის-გზით არიან შეერთებულნი და ქუთათურებს ამ გზით ტფილისში შვილების ჩამოყვანა არ გაუჭირდებათო. მაშ რახან პეტერბურგი ყველა რუსეთის უმთავრეს ქალაქებთან რკინის-გზებით არის შეერთებული და არსაიდამ პეტერბურგში ბავშვების ჩაყვანა არ გაჭირდება, სხვაგან ყველგან დაიხუროს სასწავლებლები და მარტო პეტერბურგი იკმაროს მთელმა რუსეთმა? ასეა, განა, ,,კავკაზის'' ახლად გამომცხვარნო პუბლიცისტნო და განათლების მქადაგებელნო. შეიბრალეთ თქვენი მკითხველები, შეიბრალეთ თქვენი ამწყობები და თუ არც ერთნი გებრალებათ, არც მეორენი, თქვენს ლოგიკას მაინც აღირსეთ შებრალება!

***

აი, გაზეთს ,,მწყემსს'', როგორც ეტყობა, დიდიხანია რაც სიბრალულის გრძნობა დაუკარგავს და აღარ ებრალება არც თავის რედაქცია, არც ამწყობები და არც სვე-კრული მკითხველები. იგი თურმე რუსული გაზეთების კვალს მისდევს, რომელნიც საახალ-წლოდ თავიანთ მკითხველებს საჩუქარს უგზავნიან ხოლმე და, აი, ,,მწყემსმაც'' რა უზარ-მაზარი, (მართლა რომ უზარ-მაზარი!) კრრრიტიკული საჩუქარი უძღვნა საახალ-წლოდ მათ:

«მზა-მეტყველებას არამც თუ მარტო ანტონ კათალიკოზის ნაწერებში,— უკავია პირველი ადგილი, არამედ მთელ ქართულს მწერლობაში (!). ამის მსგავსი საფუძვლიანი და უზარ-მაზარი (?!?) თხზულება იმის შემდეგ არ დაწერილა და უნდა ვსთქვათ, რომ ეს წიგნი შესანიშნავია ჩვენს ძველს და ახალს მწერლობაში კი არა მარტო, არამედ მთელს დედა-მიწაზე (აი, თქმაც ასე უნდა)! და ყველა ხალხთა ენებზე უპირველეს წიგნად ჩაითვლება, რადგანაც ამისთანა წიგნი, არც ბერძნულს და არც ლათინურს ენაზედ არ მოიპოვება (!!!).

პატივცემულს ,,მწყემსის'' კრიტიკოსს ალბად ერთნაირი ავადმყოფობა თუ სჭირს რომელსაც შეიძლება «ტვინის ლიტინი» დავარქვათ. ავადმყოფი ჯერ დაბლა იწყობს ლაპარაკს, შემდეგ თან-და-თან ცხარდება და ბოლოს ხელების ცხარე შლითა და თვალების ბდღვრიალით ათავებს თავის დერვიშის შესაფერ სიტყვას. ტვინის ლიტინით ავადმყოფი თუ აქებს ვისმე, ლონიერად აქებს და თუ აძაგებს, დედა-მიწასთან გაასწორებს. ჩვენმა გაზეთმა ასეთი დიაგნოზი მოახდინა ,,მწყემსის'' კრიტიკოსის შესახებ და არ ვიცით ხელობით ექიმნი რას იტყვიან, მხოლოდ გაგვიფთხილებია ,,მწყემსის'' რედაქცია, რომ ტვინის ლიტინი გადამდები სენია და ძნელს საქმეს უზამს, რომ ეს სენი თავის მკითხველებსაც შეჰყაროს.

***

თუ ,,მწყემსის'' კრიტიკოსს ტვინის ლიტინი სჭირს, ჩვენის ქალაქის გამგეობას უეჭველია ჯიბის ლიტინი ეჭირება. ყოველ წელიწადს ხარჯს ემატება, დეფიციტი იზრდება, როგორც ძუნწი ქარაპეტას პარკები და ქალაქის გამგეობა და რჩევა კი ღარიბ-ღატაკი ხალხისაგან მოგროვილ ფულს თავის კეიფზედა ხმარობს. დიდი ხანი არ არის, რაც ქალაქის რჩევამ თავიანთ ჯიბიდგან მოგროვილი ფულით კი არა, ქალაქის კასიდამ აღებულით არქეოლოგებს ჩინებული სადილი გაუმართა, სადაც შამპანიის ღვინო უხვად ილვრებოდა და გუბერნიის ტოლუმბაში ა. ქ. ხმოსნების სადღეგრძელოებსა სვამდა.

ეხლა კიდევ ქალაქის გამგეობა გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებებით ქალაქის ხალხს გენ. ტერ-ღუკასოვის ძეგლის ასაგებად მიიწვევს ბანქის სობოროში. ეს ძეგლიც ქალაქის კასის ხარჯით არის აგებული!

იქველმოქმედეთ ბატონებო, სტუმრებსაც გაუმასპინძლდით, ძეგლებიც აგეთ და იგეთ, სიუხვისათვის ხელი თქვენი ნურც დაცხრების, მაგრამ ღვთის გულისათვის ქალაქის კასას თავი დაანებეთ!

ზედ, აგრეთვე ადგილობრივმა სატუსაღოს უფროსმა დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა და ხელი შეუწყო ყოვლის მხრით ამ საქმეს. მამა ოქროპირ ჭაჭუხიძეს ბევრი თანა-მგრძნობელი არავინ აღმოსჩენია ამ საქმეში, თუ არა ხელის-შემშლელი. მან სთხოვა საზოგადოებას შემწეობა წიგნთ-საცავის დაარსებაზე და საზოგადოებაშიც აღმოჩნდენ რამოდენიმე პირნი, რომელთაც თანაუგრძნეს ამ საქმეს და შემოსწირეს რამოდენიმე ქართული პატარა წიგნები, რომლის შესანახავი ადგილი ვერ იშოვა მამა ოქროპირმა სატუსაღოში და ეკლესიაში შეინახა. ერთმა აქაურმა მოქალაქემ ზ. ბარძიმიშვილმა შემოსწირა სატუსაღოს წიგნთ-საცავისათვის შკაფი და ეს შემოწირვა გამოცხადდა გაზეთში, მაგრამ „დროებაში" წავიკითხეთ, თორემ შკაფი არ გვინახავს, ეს ორი წელი გადის მას აქეთ.

თუ საზოგადოება და ადგილობრივი ადმინისტრაცია ხელს არ უწყობს ამ გვარ საქმეს, მარტო მღვდელმა რა ქნას, რომელსაც არც საშუალება აძლევს ნებას და არც სამსახური — უფრო გულ-მოდგინედ შეუდგეს ამ საქმეს; მარტო სატუსაღოში კი არ მსახურებს, ის მსახურებს ქუთაისის ოლქის სამსჯავროშიაც და ყოველ დღე იქ უნდა იყოს, გარდა უქმი დღისა.

წერილის დასასრულს, თქვენის გაზეთის საშუალებით ვთხოვთ „ივერიის" რედაქტორს თ. ილია ჭავჭავაძეს და „ნობათის" რედაქტორს ბატონს ღულაძეს თითო ნომერი თავ-თავიანთ ჟურნალისა გვიბოძონ უსასყიდლოდ ტუსაღებს სატუსაღოს მღვდლის მამა ჭაჭუხიძის სახელზედ.

ერთი ქუთაისის სატუსაღოს ტუსაღთაგანი.

---

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულს გაზეთს «დროებაში» № 276 წავიკითხე გაზეთი «კავკაზიდან» გადმობეჭდილი შენიშვნა ერთის კახეთის მემამულისა, შესახებ ვაზის ნაცრისა.

ამ შემთხვევით მინდა ვისარგებლო და მივაქციო თქვენის გაზეთის შემწეობით ფილოქსერის კომისიის და ჩვენი ქუთაისის ახალ დაბადებულის სამეურნეო საზოგადოების ყურადღება ამ გვარსავე საგანს და ჩვენს უკიდურესს მდგომარეობას, რამოდენიმე წლის განმავლობაში ღვინის მოსავლის მოსპობით.

ჩემი სოფელი შუალის-კარი, აგრეთვე მახლობელი სოფლები, მაგალითებრ: შუაფათი, ბეთლემი, მოხაში, ალავერდი, ფოცხო, ლესიჯინე, ზანა, მკი, ნოქალაქევი, კოტიანეთი, შხეფი და სხვანი, თითქმის მთელი სამეგრელოს მთიანი ადგილები, იყვნენ განთქმულნი კარგის ღვინის მოსავლით (ოჯალეშის ღვინო). აქ მრავალი სხვა-და-სხვა გვარის ვაზები იყო, მაგრამ ყველაზე კარგი ღვინო დგებოდა გოდათურის, შონურის და ჭვიტილურის ვაზებიდან; პირველს ვაზს უმთავრესი ადგილი ეჭირა ხალხში, როგორც ღვინით, აგრეთვე ყურძნითაც; ამ ყურძენს სტოვებდენ ვაზებზედ ნოემბრისა და დეკემბრის თვემდის და მაშინ ჰკრეფდენ, მაგრამ აგერ ოცი წელიწადია, რაც ამის მოსავალი მოისპო. ბევრგან ეხლაც გლეხ-კაცნი დიდის სიფთხილით უვლიან ამ ვაზს, მაგრამ არავითარ ნაყოფს აღარ აძლევს, და თან-და-თან ხმება. მეორე ადგილი ეჭირა, შონურს, (ქართულად სვანური). ამ ყურძნის ღვინოს ოჯალეშს ეძახიან და ბევრნი მკითხველებიც იცნობენ მას, რადგან ეხლაც მოდის იგი (თუმცა უწინდელზე ნაკლებად) სამეგრელოს თავადის მამულში ს. სალხინოს; ეს ვაზიც თან-და-თან ხმება და ისპობა. მესამე ადგილი უჭირავს ჭვიტილოურს (თეთრი ღვინო იცის და რამოდენიმედ ემზგავსება კახურს). ეს სამი ვაზი ხალხის სიმდიდრეს შეადგენდა; თუმცა სხვაც ბევრ გვარი ვაზებია, მაგრამ იმათ უფრო ნაკლები ღვინო იციოდენ და ხალხს იმდენად სამწუხაროდ არ მიაჩნია მათი მოსპობა.

ყოველ გაზაფხულს საბრალო გლეხი შესცქერის მაღლა ხეს (სამეგრელოში ყოველგან ხეზედ არის მიშვებული ვაზი) და იმედებით ევსება გული, როცა ხედავს კარგად მოსხმულს ვაზებს, მაგრამ ეს იმედები ივლისის დამდეგს კვნესა-ოხვრად შეეცვლებათ ხოლმე. სწორედ ამ დროს გადაავრის ნაცარს და ყურძენი ერთიანად ხმება. თუ სადმე გამოარჩიეს ყურძენი და დაიყენეს ღვინო ერთი ორი კოკა, (კოკა არის სამი ბათმანი) ამასაც ზოგს მებატონეები გამოართმევო, და ზოგსაც სოფლის სასამართლოს მოხელეთათვის ინახვენ. თავიანთ საჭიროებისათვის კი უნდა მოიკლონ წლიური სარჩო სიმინდი, ღვინოზე გადასცვალონ იმერეთიდან ჩამოსულ ჩარჩებთან, რომელნიც განგებ ამისათვის ჩამოდიან ხონიდან და სხვა ადგილებიდან, ამ ნაირს მდგომარეობაში ვართ, როგორც თავად-აზნაურობა, აგრეთვე გლეხობაც; თავად-აზნაურს კიდე გვექმნება რამოდენიმე სხვა და-სხვა საშვალება, მაგრამ რა ჰქნას საბრალო მუშა ხალხმა!..

და, აი, ის სხვა-და-სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჰგზავნის თავის შვილს ანუ ძმას ქალაქ ადგილებში, მაგალითებრ: ფოთში ბათუმში, ქუთაისში, თბილისში და თვითონ კი რჩება შინ და მუშაობს მარტოკა იმედეული, რომ შვილი ანუ ძმა მოუტანს ფულს და მითი გამოვა თავის უკიდურეს მდგომარეობიდან; მაგრამ ხშირად ეს იმედებიც ცრუვდება; ქალაქ ადგილას გაგზავნილები მომეტებული ნაწილი ეჩვევიან, როგორც გაწყვითარებული ადამიანები, უქმ სიარულს, ლაზღანდარობას, ლოთობას, ქალაღდის თამაშობას, ქურდობას და ყოველსავე საზიზღარ მოქმედებას. აწ ნაყოფი ამისი ის არის, რომ ზოგნი იგზავნებიან ციმბირში და ზოგნი ავსებენ ჩვენს საპატიმროებს. თუ ვინიცობაა, როგორმე ქალაქ ადგილას წაართვა თავი და შინ მოვიდა, აქ ის სრულიად გარეგან კაცად რჩება, მუშაობა და შრომა გადავიწყებული აქვს; თუ ერთი ორი-გროში ამოჰყვა ქალაქში ნაშოვნი, მაშინადვე სხვის წაბაძვით იკეთებენ ქამარ-ხანჯლებს და ფერად-ფერად ტანისამოსებს. როცა ამ გვარი ცხოვრების საშუალება შემოაკლდებათ, მიჰყოფენ ხელს სოფელში ქურდობას, ავ-კაცობას.

ბევრნი მათგანნი „ახალ მოდურის" ავადმყოფობით ხდებიან ავად და უვიცი მკითხავების მსხვერპლნი შეიქნებიან ხოლმე.

ესეთი მოვლენა გლეხთა შორის არის შედეგი და მასთან მიზეზი მათის ეკონომიური მდგომარეობისა. ის ახალ-გაზრდობა, რომელიც ეხლა ქალაქ ადგილებში მიესწრაფება, შინ დარჩებოდა თავის ოჯახში, რომ ჰქონდეს საშრომი, რომელიც მისცემს საშუალებას, მისის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ ახალ-გაზრდობას გული აქვს გატეხილი შრომის უნაყოფობით, განსაკუთრებით ვაზების ავადმყოფობის გამო და სხვა სამუშაოზედაც გული აუცრუვდა. მაგალითად, უწინ ჩვენი ხალხი პირუტყვის მოშენებას მისდევდა, მაგრამ ამ სასარგებლო საქმეზედ თითქმის ხელი აიღო, რადგან პირუტყვის მომშენებელი და მომვლელი შინ აღარავინ რჩება.

სამდურავი უნდა ითქვას ახალ-გაზრდა ქალებზედაც; მათ წაბაძეს უქმ-ცხოვრებაში უსაქმურ ყმაწვილ კაცებს და სრულიად ივიწყებენ მათი დედების ჩვეულებასა და შრომას, ესე იგი, ბლომად აბრეშუმის მოყვანას და დარაიას და სხვა-და-სხვა შალების კეთებას. ამ უკანასკნელისათვის დიდად გასამტყუნარნიც არ არიან, რადგანაც მათი მოთხოვნილება ძალიან დაეცა. ძველი ხალხი თუ იკერავს აქ მოქსოვილ შალის ჩოხებს, თორემ ახალ-გაზრდობა მაუდის მეტს აღარას კადრულობს.

ესეთს გულის აცრუებას შინაურს ცხოვრებაზე შველა უნდა, თუ არ გვინდა, რომ შედეგად სრული ეკონომიური დაცემა მოჰყვეს.

უნდა მივმართოთ როგორც ფილოქსერის კომიტეტს და სამეურნეო საზოგადოებას, ისე ჩვენს თავად-აზნაურებას თხოვნით, რომ მათ იზრუნონ მეურნეობის სხვა-და-სხვა სენის განკურნებაზე. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, საჭიროა, ადგილობრივ გამოიძიონ, თუ როგორ მოევგვარება სამეგრელოს ხეების მზგავსს ვაზებს გოგირდის მოყრა ე. ი. იმ საშუალების ხმარება, რომელსაც ისეთი კარგი ნაყოფი მოუტანია კახეთის დაბალ ვაზებისათვის.

ო. გ. ჩ.

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** დღესასწაულები გავიდა და ორთავ პალატათ ისევ გამართეს სხდომები. დეპუტატთა პალატაში პირველ გასარჩევ საგნად წარდგენილ იქმნა ჩინეთისა და [illegible] საქმეები; ამის შემდეგ წარადგინეს რამდენიმე წინადადება პალატის სხდომების გადადებაზედ, მაგრამ ზოგიერთნი დეპუტატნი წინაალუდგენ სხდომების გადადებას, რადგან საჭიროა ეხლავ განმარტებულ იქმნეს, თუ რამ გამოიწვია ცვლილება სამხედრო სამინისტროშიო.

ამ დღეებში ერთმა ბონაპარტიულმა გაზეთმა დაბეჭდა განცხადება, რომელიც აუწყებდა საზოგადოებას, რომ ნაპოლეონ III მიცვალების დღიდამ ერთის წლის შესრულების გამო დანიშნული დღესასწაულობითი წირვა იანვრის 17-ს გადაიდება სხვა ვადისათვის. დღესასწაულობის გადადების მიზეზად დღემდის ბევრს ის გარემოება მოჰყავდათ, რომ ამ ჟამად პარიჟიდამ გასულნი არიან უფრო წარჩინებულნი პირნი ბონაპარტიელთა დასისა, მაგრამ ნამდვილად-კი საქმე სულ სხვა რიგ ყოფილა. რომ პოლ-დე-კასანიაკი არა — ამ დღესასწაულობას მოჰყვებოდა დრამა, რომელშიაც მომქმედნი პირნი მამა და შვილი იქმნებოდენ. საქმე, აი, რაში მდგომარეობს: პრინც ჟერომ ნაპოლეონი (მამა) დიდი ხანია ყოვლის ღონითა სცდილობს თვისი შვილი პრინცი ვიკტორი განდევნოს როგორმე საფრანგეთიდამ და ერთი-ღა მხოლოდ ის დარჩეს ნაპოლეონობის დინასტიის წარმომედგენელად. მამა-შვილს თავ-თავიანთი მომხრენი ჰყავთ: ჟერომისტები და ვიკტორისტები.

ეს მამის მტრობა ჰქონდათ ჟერომისტებს საბაბად, როდესაც გამოაცხადეს ნაპოლეონ III გარდაცვალების დღის დღესასწაულობა. ამათ მოისყიდეს უბრალო, მუშა ხალხი, რომელთაც დიდი დემონსტრაცია უნდა გაემართნათ პრინც ვიკტორისათვის, ეძახნათ დღეობაზე: «გაუმარჯოს იმპერატორს (ვიკტორს)!» და სხვ. მთავრობა, რასაკვირველია, არ მოითმენდა ამგვარს წინაალმდეგობას და სულის ამოუთქმელად განდევნიდა საფრანგეთიდამ პრინც ვიკტორს და ამ რიგად მამას, პრინც ჟერომს წადილი შეუსრულდებოდა, მაგრამ პოლ-დე-კასანიაკმა დროზედ გაიგო ეს „ოინი" და აცნობა პრინც ვიკტორს, რომელიც, რასაკვირველია, აღარ დაესწრო დღეობას და განზრახვა პრინც ჟერომისა ჩაიფუშა.

**ავსტრო-ვენგრია.** პოლშურმა პროპაგანდამ განსაკუთრებით ამ უკანასკნელს ხანებში მეტის-მეტი ყურადღება მიიქცია გერმანიაში. ერთი ბრესლაველი გაზეთი ამბობს, რომ ამ მოკლეს ხანებში ბევრი კორესპონდენციები იწერებიან რუსულს გაზეთს „Часъ-ში" და ამ კორესპონდენციებით იხატებაო ვითომ რაღაც განზრახვა რუსეთის მმართებლობისა, გარდა იმისა, რომ ამგვარი კორესპონდენციები აღმაშფოთებელს ცნობებს ჰბადვენ გალიციის პოლშელებს შუაო. ამავ ბრესლაველის გაზეთის სიტყვით ავსტრო-ვენგრიული

სამინისტრო ისე ნელა არ გაისჯება, ისე არ დაუთმობს პოლშელებს, როგორც დაუთმო მინისტრთა თავს-მჯდომარემ ბ-რ. ტააფემ და აქედამვე ძირითად აღმოფხვრის გალიციის კომიტეტის განზრახვათაო. ხსენებულის კომიტეტის მეთაურებად ითვლებიან გალიციის პოლშელი წარჩინებულნი პირნი. კომიტეტი მედგრად შეუდგა აქედამვე მზადებას მომავალის ზაფხულის რეიხსრატის ამორჩევებისათვის.

გალიციის ქალაქთ. ლვოვიდამ იწერებიან, რომ ადგილობრივ პოლშურ გაზეთებს დღე-დღეზე სპობენ. პოლშელები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამ გაზეთების გამოცემის მოსპობის ბრძანება ვენიდამ გამოდისო. სამი კვირაა მას უკან, რაც ჩვენ გაზეთში ზედი-ზედ გაუწყვეტლივ იბეჭდებოდენ სრულის ნება-რთვით რუსეთის საწინააღმდეგო წერილებიო.

**ესპანია.** დამამხობელი მიწის ძვრა არ ასვენებს ესპანიას. 60,000 კაცი უსახლ-კაროდაა დარჩენილი. გრენადაში, უკანასკნელი გამორიცხვით, მიწის ძვრას უმსხვერპლია 1,000 კაცი, დაუსახიჩრებია 560.

11 ქალაქი და სოფელი ერთიანად დაიქცა. ზარალი ჯერ-ჯერობით ოცდაათ მილ. ფრ. აღურიცხავსთ. შესაწევნელად საწყლად დარჩენილთათვის მოგროვილა აქამდის ერთი მილ. ფრანკი.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

იანვრის 11-ს

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცდა სახელმწიფო რჩევის გადაწყვეტილება, რომლის ძალით პოლშისათვის დაწესებული საფინანსო განყოფილება ფინანსთა სამინისტროსთან და პოლშისავე გუბერნიების სახაზო პალატები გაუქმდებიან; ტყეების სამოქო გამგეობანი პოლშაში გადაკეთდებიან სახელმწიფო ქონებათა გამგეობად.

**ბერლინი.** მმართებლობის მოთხოვნილება 150,000 მარკისა აფრიკის გამოსაკვლევლად რეიხსტაგმა მოიწონა.

**პარიჟი.** საფრანგეთის მწყობრმა (კალონნამ) გაფანტა კოხინხინაში მოჯანყეთა გუნდი, რომელსაც მოუკლა 20 კაცი. მათმა ბელადმა—სივოტომ გაქცევით თავს უშველა.

იანვრის 12-ს.

**პეტერბურგი.** ამბობენ, რომ კახანოვის კომისია, რომელსაც განახლების შემდეგ პირველი სხდომა ექნება იანვრის ცხრამეტს, უველაზე უპირველესად განიხილავს იმ საგნებს, რომელნიც შეეხება სასოფლო ყრილობათა მოქმედების სფერას (წრეს) და დაბოლოვებით გარდასწყვეტს საგლეხო სამსჯავროების შესახებს საქმეს.

**რომი.** ალპიის ვაკეებში ხელმეორედ ჩამოწვა მიწის ზვავები, რომლის გამო ბევრი ხალხი დაიღუპა. მარტო ექსილაში დაიღუპა 63 კაცი.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი — 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; მტემბოსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალლევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში. ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.


## განცხადებანი

ვაძლევ **გაკვეთილებს** ყველა საგნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. ვამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებელთათვის. ადრესი: ,,**დროების**'' რედაქციაში. (5—3)

## ქუთაისში,

**ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში** ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ ხაკუთარ შენობაში.

(5—2)

### ახლად გახსნილი საწყობი
### **პურის სპირტის**
### და
### დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამომავლობითი საპატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის **პორაქოვისა** და დავით ადამის ძის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ალელოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კონიაკისა, ლაკისა, ლიკორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა ისყიდება თვით **დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში** და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭლით ერთ-ვედროიანია, $^{1}/_{2}$ ვედროიანი, $^{1}/_{10}$, $^{1}/_{16}$, $^{1}/_{20}$, და $^{1}/_{40}$-ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада". ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $^{1}/_{2}$, და $^{1}/_{4}$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს—გარეშეთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—10)

### საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, ზენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთლი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოხი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—30)

# СВѢТОЧЪ

## ЕЖЕДНЕВНАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

**выходитъ въ Москвѣ, безъ предварительной цензуры, съ 1-го января 1885 года.**

Сознательная потребность слѣдить изо дня въ день за тѣми явленіями политической и общественной жизни, которыя, быстро смѣняясь, оставляютъ за собою болѣе или менѣе глубокій слѣдъ, все сильнѣе и настоятельнѣе ощущается въ нашемъ обществѣ и съ высшихъ слоевъ его распространяется на низшіе. **«Свѣточъ»**, имѣя программу общую со всѣми большими газетами, постарается удовлетворять этой потребности во всемъ ея объемѣ. Что касается направленія, выраженіемъ котораго служитъ критическая оцѣнка сообщаемыхъ фактовъ, то, избѣгая громкихъ словъ, редакція можетъ только обѣщать своимъ читателямъ, что **«Свѣточъ»** будетъ честно служить истинѣ.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой**: на годъ **7 руб.** на полгода **4 руб.**

**Требованія адресуются**: въ редакцію газеты **«Свѣточъ»** (Москва, Петровка, д. Кредитн. Общ., при типографіи **И. И. Родзевича**).

(3—3)


*Доз. ценз. Тифлисъ, 12 Января 1885 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი